სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

PMCG Research

ივლისი 2025

- **2025 წლის ივლისში საქართველოს სასტუმროების ფასები წინა თვესთან შედარებით გაიზარდა; ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა გურიასა და აჭარაში, შემდეგ - თბილისში.**
- **2025 წლის ივლისში სასტუმროების ფასები წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა, რაც გამოწვეულია 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების კლებით და საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდით.**
- **ოთახის საშუალო ფასი 2025 წლის ივლისში მერყეობდა 116 ლარიდან 517 ლარამდე.**

სასტუმროს საშუალო ფასები

2025 წლის ივლისში საქართველოში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **116 ლარი** შეადგინა, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **171 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში **- 254 ლარი.** 2025 წლის ივლისის 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის ივლისში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **517 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა გურიაში - **674 ლარი**, კახეთში - **594 ლარი** და აჭარაში - **540 ლარი**.



გრაფიკი 1: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის ივლისი, ლარში)

სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის ივლისში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 7.5%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი – 5.7%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის ივლისში სასტუმროს ფასების ინდექსი 6.6%-ით გაიზარდა 2025 წლის ივნისთან შედარებით.

2025 წლის ივლისში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.3%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი 6.8%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, 2025 წლის ივლისში სასტუმროს ფასების ინდექსი უცვლელი დარჩა 2024 წლის ივლისთან შედარებით.

რეგიონი	3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი		საოჯახო ტიპის		ყველა სასტუმრო	
	ივლისი/ თვიური (%)	ივლისი/ წლიური (%)	ივლისი/ თვიური (%)	ივლისი/ წლიური (%)	ივლისი/ თვიური (%)	ივლისი/ წლიური (%)
კახეთი	7.2%	-5.1%	3.6%	5.1%	4.8%	1.8%
იმერეთი	3.6%	16.8%	-2.7%	0.1%	0.4%	8.1%
გურია	23.2%	-6.8%	26.4%	12.5%	24.8%	2.4%
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	3.3%	14.8%	1.1%	7.2%
აჭარა	10.8%	-1.8%	8.4%	0.0%	10.4%	-1.6%
რაჭა[4]	-	-	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
შიდა ქართლი	3.1%	1.2%	-7.8%	9.9%	-2.5%	5.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.4%	-11.0%	0.3%	10.9%	2.8%	0.6%
სამცხე-ჯავახეთი	12.8%	-8.2%	-4.8%	4.7%	5.4%	-3.2%
მცხეთა-მთიანეთი	-1.7%	-11.3%	-1.5%	-5.8%	-1.6%	-8.3%
თბილისი	6.2%	0.3%	7.3%	11.8%	6.2%	1.0%
სულ ფასების % ცვლილება	**7.5%**	**-1.3%**	**5.7%**	**6.8%**	**6.6%**	**0.0%**

ცხრილი 1: თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 ივლისი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული შემთხვევითად არჩეული 569 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 352 საოჯახო ტიპის სასტუმრო. ფასი გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის მიხედვით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და საოჯახო სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება საამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).

4 რაჭაში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი მიუწვდომელია საბაზისო პერიოდის მონაცემების ნაკლებობის გამო.